დამტკიცებულია 07.06.2024
აბფმფ გამგეობის სხდომის მიერ (ოქმი#3)

ა(ა)იპ საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის

2023 წლის საქმიანობის ანგარიში

ორგანიზაციული მიმოხილვა

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაცია (საბფმფ), არის წევრობაზე დაფუძნებული არასამთავრობო, არაკომერციული პროფესიული ორგანიზაცია. იგი შეიქმნა 2011 წლის დეკემბერში.

ფედერაციის საქმიანობის მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს:

საქართველოში აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ინტერესების დაცვა;

საერთო ძალისხმევა საქართველოში აღრიცხვა–ანგარიშგების აუდიტის და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის და ფაქტობრივი დამკვიდრების უზრუნველყოფისთვის;

აუდიტის, ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური მმართველობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფის შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, წარდგენა შესაბამის ორგანოსთვის, ზრუნვა მათი პრაქტიკული რეალიზაციისთვის;

აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება, განგრძობითი სწავლებისა და სერტიფიცირების პროცესის განხორციელება;

ფედერაციის წევრთა მიერ პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვისა და საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა.

ფედერაცია დასახული საერთო მიზნის მისაღწევად:

აერთიანებს აუდიტორების, ბუღალტრების, ფინანსური მმართველების, საგადასახადო კონსულტანტების, აგრეთვე სხვა დაინტერესებული პირების ინტელექტუალურ და მატერიალურ რესურსებს პროფესიული ინტერესების, დასახული ამოცანების მიღწევის შესაძლებლობების შესაქმნელად;

გამოხატავს თავისი წევრების ლეგიტიმურ ინტერესებს სახელმწიფო მმართელობით,

აღმასრულებელ და ადმინისტრაციულ ორგანოებში;

წარადგენს წინადადებებს ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებსა და ორგანოებში აუდიტის, ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური მმართველობის და საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე;

უზრუნველყოფს წევრების ინფორმირებას ეკონომიკურ ურთიერთობათა მარეგულირებელ საკანონმდებლობლო აქტებში მომხდარი ცვლილებების, კანონპრიექტების თუ პროფესიულ სფეროში სიახლეების შესახებ კონფერენციების, სემინარების, ელექტრონულ ბეჭდურ ორგანოში პუბლიკაციების მეშვეობით;

ქმნის მიზნობრივ ფონდებს ფედერაციის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისა და წევრების წახალისებისათვის;

იღებს მონაწილეობას საერთაშორისო, რეგიონულ და სხვა პროფესიულ გაერთიანებებსა და კავშირებში წევრობის სახით, ან სტუმრის სტატუსით;

შეიმუშავებს და ამკვიდრებს თავისი წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტერების ეთიკის კოდექსის (IESBA Code) მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის სისტემას;

ატარებს განგრძობით სწავლებას და პროფესიულ სერტიფიცირებას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

შეიმუშავებს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამის შიდა პოლიტიკას და პროცედურებს, თავისი წევრი აუდიტორების/აუდიტური ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის მექანიზმს, ასევე, დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების სისტემას და ახორციელებს მათი უზრუნველყოფის ღონისძიებებს ფედერაციის კომპეტენციის გავრცელების არეალში;

წარმართავს ფედერაცის წევრთა და აუდიტორთა/აუდიტური ფირმების რეესტრს;

გამოსცემს საინფორმაციო, მეთოდოლოგიურ, საცნობარო და სარეკლამო მასალებს, აგრეთვე ელექტრონულ სამეცნიერო, ანალიტიკურ, პრაქტიკულ ჟურნალს თავისი წევრებისა და დაინტერესებული პირების მოხმარებისთვის.

საბფმფ წევრები არიან ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის წარმომადგენელი ფიზიკური და იურიდიული პირები. 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ფედერაციის წევრია 243 სერიფიცირებული ბუღალტერი,მათ შორის 73 პირს,რომელმაც არ გაიარეს სავალდებულო განგრძობითი სწავლების კურსები, შეუჩერდათ სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი; 110 არასერტიფიცირებული ბუღალტერი (სულ 354 ფიზიკური

პირი) და 53 იურიდიული კომპანია.

ფედერაციის მართვა:

ფედერაციის მმართველობითი ორგანოებია: • ფედერაციის წევრთა (წევრების წარმომადგენელთა) საერთო კრება; ფედერაციის გამგეობა; ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი; • სარევიზიო კომისია; • კომიტეტები;

ფედერაციის სტრუქტურაში მოქმედებს: ფედერაციის აჭარის რეგიონული ორგანიზაცია; • სასწავლო ცენტრი, რომელიც შექმნილია სპეციალიზებულ სუბიექტთან წილობრივი მონაწილეობით, ფედერაციის წესდებით განსაზღვრული წევრების განგრძობითი სწავლებისა და პროფესიული სერტიფიცირების უზრუნველსაყოფად; • ბეჭდური ელექტრონული ორგანო - პერიოდული სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი.

ფედერაციის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს ფედერაციის წევრთა (წევრების წარმომადგენელთა) საერთო კრება;

ფედერაციის ხელმძღვანელ და განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენს ფედერაციის გამგეობა;. ფედერაციის გამგეობა შესდგება სულ 9 წევრისგან, მათ შორის, გამგეობის თავმჯდომარის (ფედერაციის პრეზიდენტის) და 8 წევრისგან;

ფედერაციის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად შექმნილია შემდეგი კომიტეტები: • წევრობის კომიტეტი; • პროფესიული ეთიკის და დისციპლინარული კომიტეტი; • ხარისხის მონიტორინგის და კონტროლის კომიტეტი; • განათლებისა და სერტიფიცირების კომიტეტი; • სტანდარტების და პრაქტიკის კომიტეტი; • საგადასახადო საკითხთა კომიტეტი.

საბფმფ გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები აღმოსავლეთ ევროპის და პოსტსაბჭოთა ქვეყნების IFAC-ის წევრ პროფესიულ და მარეგულირებელ ორგანიზაციებთან,აგრეთვე პროფესიულ ორგანიზაციებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან საქართველოში.

საბფმფ თანამშრომლობის სურვილი გამოხატა მსოფლიოში წამყვანმა მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა. ისინი წარმოდგენილნი არიან ფედერაციის ბეჭდური ელექრტონული სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალის „ბიზნესი და კანონმდებლობის“ სარედაქციო კოლეგიაში და სისტემატიურად აქვეყნებენ სტატიებს.

საბჭმფ აქტიურად თანამშრომლობს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროსთან დაკავშირებულ საერთაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, აკადემიურ სექტორთან.

პროფესიული საქმიანობა

გამგეობის საქმიანობა

წესდებით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად სისტემატურად ხდებოდა საკითხების განხილვა გამგეობის სხდომებზე.

წლის განმავლობაში გამგეობის საქმიანობის ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობაზე.

თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები იყო: პროფესიული სერტიფიცირების, განგრძობითი განათლების სტანდარტებისა და პროგრამების პროექტების, აუდიტორთა და სერტიფიცირებულ ბუღალტერთა რეესტრის წარმოებისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის წესების რეალიზება,ფედერაციის მონიტორინგი და სხვა.

საანგარიშო პერიოდში თანამშრომლობა გრძელდებოდა მსოფლიო ბანკთან. მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის, აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციასთან თანამშრომლობით, ჩატარდა სხვადასხვა ვებინარები;ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა გამგეობის 6 სხდომა (წესდება ითვალისწინებს სამ თვეში მინიმუმ ერთი სხდომის ჩატარებას). სხდომები ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. სხდომებზე მიღებული დადგენილებები ძირითადად შესრულებულია.

კომიტეტების საქმიანობა

1. განათლების კომიტეტი

პროფესიული სერტიფიცირება, ბუღალტერთა გადამზადება და უწყვეტი განგრძობითი განათლების ხელშეწყობა ფედერაციის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. ახალი საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით, საანგარიშო წელს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს, სამსახურის მიერ დადგენილი პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების სტანდარტების შესაბამისად, მომზადდა და აღიარების მიზნით წარედგინა 2023 წლის განგრძობითი განათლების პროგრამა.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღიარებული ფედერაციის 2023 წლის განგრძობითი განათლების პროგრამის მიხედვით ჩატარდა ფედერაციის წევრი სერტიფიცირებული ბუღალტრების ყოველწლიური სავალდებულო განგრძობითი სწავლება. პროგრამით გათვალისწინებული სემინარები განხორციელდა აუდიტორულ კომპანიასთან კონტრაქტის საფუძველზე, კერძოდ პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული სასწავლო მასალები მოამზადა და სემინარები ჩაატარა შპს „ბდო-მ“. ფედერაციის წევრებისთვის ხელშეწყობისა და მეტი კომფორტის შექმნის მიზნით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღიარებული ფედერაციის განგრძობითი განათლების პროგრამის (რეგისტრაციის ნომერი SARAS-CPD-019/23) შესაბამისად, 2023 წლის 9 ოქტომბრიდან 2023 წლის 15 დეკემბრამდე პერიოდში, ჩატარდა განგრძობითი სწავლება სამ ნაკადად. ლექციები ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. რეესტრში რეგისტრირებული 243 სერტიფიცირებულ ბუღალტრიდან განგრძობითი სწავლება გაიარა 158 წევრმა.

განათლების კომიტეტის საქმიანობაში, საანგარიშო წელს, მნიშვნელოვანი იყო „ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ აღიარებული განგრძობითი სწავლების პროგრამის პოლიტიკის განსაზღვრა და მონიტორინგის განხორციელება,რაც წარმატებით იქნა განხორციელებული.

აბფმ ფედერაციას გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი ***„რეგიონებში მდებარე მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პროექტითან“ (RSMEDP),*** *რომელიც არის შვეიცარიის მიერ დაფინანსებული ინიციატივა,* პროექტის

ინიციატივით იმისათვის, რომ მოხდეს რეგიონებში მდებარე ბუღალტრული და აუდიტორული სერვისების გამწევი პირების კვალიფიკაციის ამაღლება ფინანსური ანალიზის კუთხით, მიზანშეწონილად ჩაითვალა ტრენინგების ჩატარება შესაბამის თემებზე. ვინაიდან ფედერაცია ყოველწლიურად ატარებს 30 საათიან სავალდებულო განგრძობით სწავლებას დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, აღნიშნულ სავალდებულო ტრენინგს დაემატა საინიციატივო ტრენინგი ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე, რამაც საშუალებას მისცა მათ აიმაღლონ კვალიფიკაცია და შესაბამისი მომსახურება გაუწიონ მცირე და საშუალო მეწარმეებს ფინანსური ანალიზის კუთხით. ტრენინგს დააფინანსა ზემოთაღნიშნულმა პროექტმა და მსმენელებისათვის იყო უფასო. ასევე, აღნიშნული დამატებითი საათები სერტიფიცირებულ ბუღალტრებს ჩაეთვალად განგრძობითი სწავლების სტანდარტის მიერ მოთხოვნილი არაშემოწმებადი განგრძობითი სწავლების საათებად.

მიუხედავად სხვადასხვა სირთულეებისა,კომიტეტის უფრო მეტი მონდომება უნდა გამოიჩინოს სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად,საჭიროა კომიტეტის მიერ ორგანიზება გაუკეთდეს სხვადასხვა ტრენინგებს,რომელიც ხელს შეუწყობს ფედერაციის წევრების კვალიფიკაციის ამაღლებას.

2. სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი

კომიტეტის ფუნქციებია ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან დაკავშირებული ყოველწლიური განგრძობითი სწავლებისა და სხვა სახის სემინარებში სასწავლო პროგრამების შედგენა და ტრენინგების ჩატარება; წერილობით შემოსულ კითხვებზე პასუხების მომზადება.

კომიტეტი ჩართული იყო განგრძობითი სწავლების 2023 წლის თემატიკით გათვალისწინებული სემინარების პროგრამის მომზადებისა და ლექციების ჩატარების პროცესში.

კომიტეტის ფუნქციონირებას ხელს უშლის ის გარემოება,რომ კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი ვაკანტურია.საჭიროა თავმჯდომარის პოსტის დასაკავებლად დროულად შეირჩეს კომპეტენტური პიროვნება,რათა უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისი ფუნქციების უკეთესად განსახორციელებლობა.

3. საწევრო კომიტეტი

საწევრო კომიტეტი განიხილავს წევრობის კანდიდატების წარმოდგენილ დოკუმენტებს, იღებს გადაწყვეტილებებს მათ წევრად მიღებაზე, ატარებს

ადმინისტრაციულ ღონისძიებებს წევრობის შეჩერებასა და გარიცხვაზე. კურირებს საწევრო გადასახადების დაფარვის პროცესს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფედერაციის წევრი იყო 353 ფიზიკური და 53 იურიდიული პირი.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ფედერაციაში გაწევრიანების მსურველთა რაოდენობა უმნიშვნელოა, რაც საჭიროებს ამ კუთხით მუშაობის გაუმჯობესებას.

4. ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის კომიტეტი

კომიტეტი ჩართული იყო სამუშაოებში, რომელიც პროფესიული ორგანიზაციების თანამშრომლობით, მცირე აუდიტორული ფირმებისთვის აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების მხარდაჭერის მიზნით უზრუნველსაყოფად მიმდინარეობდა.

საანგარიშო წლის განმავლობაში ფედერაციას ,,ხარისხის კონტროლის დიაგნოსტიკური ანგარიშის მომზადების წესის“ შესაბამისად წინასწარი მონიტორინგისათვის მიმართა ერთმა აუდიტორულმა ფირმამ.

მიზანშეწონილია გააქტიურდეს კომიტეტის საქმიანობა და პერიოდულად ფედერაციის გამგეობას წარმოედგინოს ინფორმაცია ზედამხედველობის სამსახურის მიერ ფედერაციის წევრ აუდიტორულ კომპანიებში განხორციელებული ხარისხის კონტროლის შემოწმების შედეგების შესახებ.

5. საგადასახადო საკითხთა კომიტეტი

საგადასახადო საკითხთა კომიტეტის ფუნქციაა: ფედერაციის ყოველწლიური განგრძობითი სწავლებისა და სხვა სახის სემინარებში გადასახადებთან დაკავშირებული პროგრამის მომზადება; წევრების საკონსულტაციო მომსახურება საგადასახადო დაბეგვრის, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საკითხებზე; წერილობით შემოსულ კითხვებზე კონსულტანტის მიერ მომზადებული პასუხების პროექტის განხილვა და საბოლოო პასუხის მომზადება; საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიებში მონაწილეობა სამთავრობო და საკანონმდებლო სტრუქტურებთან.

კომიტეტი საანგარიშო პერიოდში არასაკმარისად ასრულებდა თავის ფუნქციებს.

საჭიროა კომიტეტმა აღადგინოს ფედერაციის წევრებთან შეხვედრების პრაქტიკა საგადასახდო კოდექსის სიახლეებთან დაკავშირებით.

6. პროფესიული ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი

კომიტეტი შეისწავლის წევრების მიერ ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენილ ფაქტებს; გამოვლენილ დარღვევებზე ახორციელებს დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

საანგარიშო წელს კომიტეტმა,ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის კომიტეტთან ერთად, განიხილა ფედერაციაში შემოსული ინფორმაცია წევრების მიერ ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

აღმასრულებელი სტრუქტურა

ფედერაციის მართვას ახორციელებს აღმასრულებელი სტრუქტურა, რომლის საქმიანობა რეგულირებულია ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობითა და წესდებით.

ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

საქართველოში რეგისტრირებული აუდიტორების და აუდიტორული ფირმების ხარისხის გაუმჯობესება აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. ამ მიზნით ფედერაცია მონაწილეობდა,

ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის და მსოფლიო ბანკის ინიციატივით ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში.

„საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციასა“ და „რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პროექტს (RSMEDP) შორის დადებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. თანამშრომლობის მიზანია ბუღალტრული მომსახურების განმახორციელებელმა პირებმა და აბფმფ წევრებმა შეძლონ გაუმჯობესებული ფინანსური საკონსულტაციო მომსახურების გაწევა რეგიონებში მდებარე მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის.

მემორანდუმში მოცემული მიზნის მიღწევისათვის შემუშავდა სამუშაო გეგმა,რომელიც ითვალისწინებდა შემდეგს:

- პროექტზე მომუშავე ჯგუფის შერჩევა, სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შედგენა;
- რეგიონებში ტრენერების და კოორდინატორების შერჩევა, სატრენინგო აუდიტორიების შერჩევა მომზადება;
- ტრენინგების მასალის მომზადება-გადაცემა;
- მიკრო და მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა ტრენინგების წარმომადგენელთა შერჩევა;
- მიკრო და მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა ტრენინგები რეგიონებში;
- ტრენინგების ადმინისტრირება - პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგი ადგილზე რეგიონებში;
- სერვისების სუბსიდირებისათვის ფიზიკურ პირთა, საწარმოთა შერჩევა და პროცესის ადმინისტრირება.

პროექტის მიმდინარეობა და შედეგები. პროექტით გათვალისწინებული ბიზნესის მხარდაჭერის ღონისძიებების ეფექტური განხორციელებისათვის შერჩეული იქნა სამუშაო ჯგუფი : პროექტის ხელმძღვანელი, პროექტის კოორდინატორი, პროექტის ადმინისტრატორი.

საანგარიშო პერიოდში, 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლისდეკემბრის ჩათვლით, პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის საქართველოს ოთხ რეგიონში: აჭარა, იმერეთი, რაჭა და ქვემო ქართლი. შერჩეული იქნა შესაბამისი განათლების და ცენზის მქონე გამოცდილი ტრენერები და საქმის წარმმართველი კოორდინატორები, განისაზღვრა მათი საქმიანობის და ვალდებულებების არეალი.

პროექტის დაწყებიდან მალევე მოხდა ტრენინგებისათვის იმ პირების შერჩევა, რომლებიც პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნენ სასწავლო მასალითა და ლექციებით (ტრენინგებით), კონსულტაციებითა და ფინანსური მხარდაჭერით.

2022 წლის 15 ნოემბრიდან დაწყებული იქნა პროექტის ბენეფიციარებთან (საწარმოები) სახელშეკრულებო ურთიერთობების წარმოება. გაფორმებული იქნა საგრანტო ხელშეკრულება აბფმფ-ს და ცალკეული საწარმოს მიმართ დაფინანსების გაცემის შესახებ, სულ შესაბამის პერიოდში გაფორმებული იქნა 22 ხელშეკრულება სხვადასხვა საწარმოსთან გრანტით მომსახურების შესახებ; აღნიშნულ პერიოდში გრანტის საერთო მოცულობამ

შეადგენდა 94523 ლარს.

გრანტის ფარგლებში სამუშაოები გრძელდება, მათი დასრულება გათვალისწინებულია 2024 წლის ივნისში.

ფინანსური მდგომარეობა

გასული წლების ფინანსური ანგარიშგების ანგარიშგების მიხედვით, ფედერაციას დამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა აქვს. (იხ.ფინანსური ანგარიშგება).

იური პაპასქუა

საბფმფ-ის აღმასრულებელი დირექტორი